

1
1957

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭო



საბჭოთა კავშირის მიერ

საბჭოთა



ვთქვათ, მოხვდით ქუთაისში (კეთილი იყოს თქვენი ფეხი). ხედავთ, თქვენს წინ ახალაშენებული შენობაა. მიხედვით ახლოს, ძალიან ახლოს. შენობა მთლად ეკლარის ძვირფას ქვაშია ჩასჭული. ქვის ერთ ლოდზე წარწერაა და თქვენ ნამდვილად ამოიკითხეთ — „ამა ლოდის ქვეშ წევს პირველი განათლებული ქართველი მხატვარი გიორგი მაისურაძე, სასუფეველი დაუმკვიდრე, ღმერთო“.

გიკვირთ და ეს შენობა უნებლიეთ სურამის ციხე გგონიათ. „ნუთუ ცნობილი მხატვრის მაისურაძის საფლავი შენობის კედელშია ჩაშენებული?“

საქმე შემდეგია: ქუთაისელმა მოქანდაკემ ვ. მიზანდარმა მწვანე ყვავილის ეკლესიის გალავანში იპოვა მხატვარ გ. მაისურაძის საფლავი. საფლავზე იღო ქვა, რომელზეც აღნიშნული იყო მხატვრის დაბადების და გარდაცვალების თარიღი და ისიც კი, რომ ის მხატვრად მუშაობდა ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. მაგრამ, სანწუხაროდ, ყოფილან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არაფრად ექაშინიკათ ეს აღმოჩენა, საფლავის ქვა აიღეს და ქვის სახერხისაკენ გაუყენეს გზას, აქედან კი მშენებლობაზე. კიდევ კარგი, მათ იმდენი თავაზიანობა გამოიჩინეს, რომ საფლავიც არ გაუყენეს ქვის გზას. თუმცა ამაში დიდი წინდახედულობა გამოიჩინა მოქანდაკე მიზანდარმა, რომელმაც, იცოდა რა ზოგიერთი ქუთაისელი მშენებლის ხასიათი, წინასწარ გულდაგულ ჩაიხატა მხატვრის საფლავის მდებარეობა.

ვის არ გაუგონია ცნობილი ქართული მოღვაწეები სერგეი და დავით მესხი. ვთქვათ, ზაფხულში, როცა ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის მცხოვრებნი გახურებულ ჩაის კრეფაში არიან, ესტუმრეთ რიონს. გაგიკვირდებათ, ძლიერ გაგიკვირდებათ, როცა შეიტყობთ, რომ უმოკლესი საავტომობილო გზა ჩაის პლანტაციებიდან ჩაის გადამწონ პუნქტამდე სწორედ დავით და სერგეი მესხების საფლავებზე გადადის.

ბაკისუბანში განისვენებს ცნობილი პოემა „თამარიანის“ ავტორი სიმონ გუგუნივა. ადრე მის საფლავს შემოვლელი ჰქონდა რკინის ლოზე, ვიღაც ხელცივ ადამიანებს ეს ლოზე მოუხსნიათ და პოეტის საფლავზე საქონელი ძოვს.

ამბობენ, ოდესღაც უფიქრიათ ქუთაისში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შექმნაზე. აჯანჯლეს, აჯანჯლეს ეს საქმე და ბოლოს დიდი ოფლისა და მეღვინის ღვრის შემდეგ პანთეონისათვის მწვანე ყვავილას ეკლესიის გალავანში ადგილი გამოყვეს. არც აციეს და არც აცხელეს, იქ გადაასვენეს მ. ბალანჩივაძე, დ. თომაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე და ი. ზარდალიშვილი. გადაასვენეს, მაგრამ რომელიმე მათგანს რომ ერთი წუთით თვალი გაეხილა და თავისი საფლავისათვის შეეხედა, უეჭველად იტყოდა: „ბატონებო! ჩვენ მთელი სიცოცხლე მამულს შევწირეთ, რას გვერჩოდით, რის პანთეონი, რა პანთეონი, განა წინათ უფრო კარგად არ განვისვენებდით? თუ თქვენი დიდ პატივისცემა არ გვექონდა, ქვა მაინც გვედო (რასაკვირველია, მანამ, სანამ „ქუთაშენის“ მესვეურები მოგვაგნებდნენ და მშენებლობაზე გააქანებდნენ). ახლა კაცი რომ მოვიდეს, ვერაფერს გაიგებს: არც ქვა, არც ვინაობის აღმნიშვნელი პატარა დაფა! კიდევ კარგი, მთლად არ დაგვივიწყეს, ნომრები მაინც დაგვაწერეს“.

ბედნიერი შემთხვევის გამო, თუ პანთეონის ვიორგანიზატორთა გონიერების წყალობით, მწვანე ყვავილას ვერ მოხვდნენ პოეტი მამია გურიელი, „ვილჰელმ ტელის“ პირველი მთარგმნელი მირიან ჭყონია, დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი ზდანოვიჩი, ქართული გიმნაზიის დირექტორი და თავდადებული მოღვაწე იოსებ ოცხელი, ექიმი დიმიტრი ნაზაროვი, რომელმაც ქუთაისში პირველი უფასო ამბულატორია გახსნა და ბოლოს ექიმი სამსონ თოფურია — ქუთაისში პირველი რენტგენის კაბინეტის დამაარსებელი, პირველი უფასო საავადმყოფოს გამხსნელი და დიდი ქველმოქმედი კაცი... დიახ, ვამბობთ ბედნიერი შემთხვევის გამო, რადგან მათი საფლავების გარჩევა ჯერ კიდევ შეიძლება სხვებისაგან.

რაც შეეხება სერგეი მესხს, დავით მესხს, გიორგი მაისურაძეს და სხვებს, ზოგიერთების გაგებით, ისინი რა ღირსი არიან პანთეონისა. იქნებ იმიტომაც არ იწუხებენ ეს მესვეურნი თავს, რომ თვითონ იმედი არა აქვთ პანთეონში მოხვედრისა? თუ ასეა, რაღა გვეთქმის, აფერუმ მათ მესვეურობას!

როდამ ჩაჩანიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რა ადრე მოხუდხართ, ქალბატონო აფროდიტა, ხახლში ხარკე ხომ არ გავიტყდათ?

ამბავი ბულაღჩიისა

მოხსნეს ბულაღჩერი,
საქმე გულსატკენი
შეემთხვა საცოდავს.
რალაც ბედისწერად
იწყო ლექსის წერა —
რომ დარდი გასცლოდა.
რედაქტორს მიუტანა,
ლექსები მიუთვალა,
თანაც დასძინა:
ლექსია გასაკვირი,
გულისა გასაგმირი,
ლამე არ მძინავს.
ეს არის დასაწყისი
(იქნება დასასრულიც).
რა არის საძრახისი,
რა არის დასაწუნი?
ზოგი კი ასეა:
ერთ ამბავს ატეხავს,
სტრიქონებს დატეხავს —
ამას რა ფასი აქვს!
რედაქტორს ელდა მცა,
მყის საზე აეწვა,

უთხრა ამგვარად:
პროფესიას პატივი ეციო,
ჯობს, ნიჭისთვის სხვა გზა ეძიო.
ალფოთდა აშკარად
და უთხრა რიხიანად:
— მე გზა მაქვს მოძებნილი,
ძმაო, შენ ზომ იცი,
თვითონ ჩეხოვიც კი
იყო სხვა პროფესიის —
და წერდა რიგიანად...
ის გულის ფანცქალით
აქ მცა, იქ მივიდა,
დაებნა გზა-კვალი
ამ ლექსის რიტმივითა.
ლექსის დასაბეჭდად
პროტექტორს დაემბს
ის ჩვენი ბულაღჩერი
ლექსებით გულსატკენი —
საწყენ არს ესე.

იკაძლი აკაბული

სანამ საბავშვო ბაღში იყო გიგილო, ვერ ვამჩნევდით, მაგრამ ბალიდან რომ გამოვიყვანეთ, დავრწმუნდით, რომ ეს საოცრად ნიჭიერი, შთაბეჭდილებიანი ბავშვი არცთუ ისე ადვილი აღსაზრდელია. ნათქვამია, ბიჭი ეშმაკი უნდაო, მაგრამ გიგილო ნამეტანი აღმოჩნდა. ამის გამო იყო, რომ ჩემი ცოლი დილას რომ დაიწყებდა, ფიგაროს არიასავით საღამომდე არ ამთავრებდა:

- გიგილო, კუთხეში!
- გიგილო, გამოთორე აქეთ!
- გიგილო, რა გატეხე?
- გიგილო, ვინ გაგიტეხა თავი?
- გიგილო, რა გადაყლაბე?
- გიგილო, მოუკვდი დედაშენს!
- გიგილო, ყურებს დაგაგლეჯ!
- გიგილო!!!
- ვის გავს ეს მიხინჯი?!

მერე დედამისის რეპლიკა — „დაბატული მამამისია“ და სხვა, აუტანელი მოსასმენი ვახდა და ამიტომ გადავწყვიტე ბავშვი სხვა ხერხით აღმეზარა. ეს ახალი ხერხი დავენერგე კიდევაც ცხოვრებაში. ზემოთ ჩამოთვლილი სააღერსო სიტყვების იგნორირების მიზნით ოჯახში, ისე როგორც ეს ქუჩებშია, განცხადებები გავაკარი:

შუშაბანდში: — შეილო გიგილო, ფანჯრიდან არ გადახტე, თუ რამე დაგჭირდეს, ეზოში კიბით ჩადი.

გიგილოს საწოლზე: — კალოშები გარეთ დააწყე.

ჩემს საწოლზე: — შეილო გიგილო, როდესაც მამას ძინავს, ყურში მარილი არ ჩააყარო.

ღუმელზე: — როდესაც ანთია, შიგ თავი არ შეყო.

ბელეფონზე: — სანავეე ყუთში არ ჩაადლო.

ბაბლითეკაზე: — ყველას ერთ დღეს ნუ დახევე, გამოიზოგე.

ჩემს ოთახში: — შეილო გიგილო, კედელზე რომ თოფი ჰკიდი, არ ჩამოილო; საწერი მაგიდის ქვედა უჯრიდან (მარცხნივ) ტყვიები არ ამოილო, თოფში არ ჩააწყო, საფეთქელთან არ მიილო და ჩახმახი არ გამოწიო, და სხვა.

ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო და, ასტურცელასი არ იყოს, 12 წლის გიგილომ სკოლაში წასვლა მოითხოვა. მართალი გითხრა, ადრე ბავშვს სკოლის სახელსაც არ ვუხსენებდით, რადგან საბავშვო ბალიდან მისი გამოყვანისას მასწავლებელმა მშობლიურად დაგვარია — მაგას სკოლაში ნუ წაიყვანთ, ისეთი უცნაურია და ისეთი ტვინის პატრონი, სახლში გყავდეთ ჯობიაო. მაგრამ რას ვიზამდით, გიგილო დამოუკიდებლად, გარედან ყოველგვარი დაწოლის გარეშე თვით მივიღე იმ შეგნებამდე, რომ სკოლაში წასულიყო.

— ძალიან მომზადებული ბავშვია, თუ მოხერხდება, პირდაპირ მესამე კლასში დასვით, — ვთხოვე დირექტორს.

— მართლა? აბა ბიჭიკო, მითხარი, საქართველოს დედაქალაქს რა ჰქვია?

გიგილო გაშტერდა.

— ჩვენ სად ვცხოვრობთ, ბიჭო? — შევეშველე გიგილოს.

— ვაკეში!

— ვაი შენს პატრონს, უბედურს! — წამომცდა უნებურად.

— რა მოხდა ახლა, არ გაახსენდა, მოუკვდეს დედა, გლბნდები აქვს ამოსაჭრელი.

— კარგი, ნავთი სად მოიპოვება ჩვენში? გიგილო ისევე გაშტერდა.

— სად გვაქვს ჩვენ ნავთი? — შეეშველა ახლა დედამისი.

— კერასინკაში! — გაუხარდა გიგილოს.

— კერასინკაში კი არა, ნავთქურაში, — გაუსწორა დედამ და გამომიყვანა სირცხვილიდან.

დირექტორი კმაყოფილი დარჩა, თანაგრძნობით გავვიღიმა და გვიფხრა:

— დიდი სიამოვნებით დავსვამდი მესამე კლასში, პატივცემულებო, მაგრამ რა ვუყო, ასაკი არ უწყობს ხელს, სჯობს პირველი კლასიდან დაიწყოს.

და გიგილომ პირველი კლასიდან დაიწყო. სხვათა შორის, მართალია, რომ ამბობენ, დრო შეუმჩნევლად გარბისო. ისე გადავიდა გიგილო მეხუთე კლასში, თვითონაც არ გაუგია. საერთოდ, გიგილოს სწავლის საქმე მშვენივრად მიდიოდა. ხანდახან თუ გამოერეოდა პატარა კურიოზები, ზოგჯერ გიგილოს სიამაყის მიზეზით, მაგრამ უფრო ხშირად მასწავლებლები ტყუოდნენ ბავშვის წინაშე. მაგალითად, ვზივარ ჩემ საწერ მაგიდასთან და ანონიმკას ვწერ საკუთარ თავზე ზემდგომ ორგანოებს:

„ესა და ეს კაცი, დიდი ნიჭიერი, თავმდაბალი და დაუხარებელი მუშაკია, დროა დააწინაუროთ-მეთქი“, რომ მეორე ოთახიდან მესმის ჩემი ცოლის შეცხადება:

— როგორ გაბედა იმ უნიკომ, მაგას ვაჩვენებ როგორ უნდა გადამტერება!

— რაშია საქმე, ქალო!

— რა და გამოგიძვევს შეილი სკოლიდან!

— მართლა, შეილო?

— ჰო.

— რატომ?

— მათემატიკის მასწავლებელმა ორი

დამიწერა და ვვჩხუბე.

— მერე და არ გრცხვინია?

— მრცხვინია აბა რა, საშინაო დავალებზე მითხრა, ამას იდიოტის მეტი კაცი ვერ დაწერდაო.

— შენ რა უთხარი?!

— მაშინვე ლანძღვის არ შეგარჩინ-მეთქი, და კარა მიფუჯახუნე.

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

— რა შუაში ხარ და, ამხელა მუტრუკი რომ მეხუთე კლასის ამოცანას სწორად ვერ გამოიყვან, შენი რა იმედი უნდა იქონიოს ოჯახმა! — მეცა ცოლი.

აი ასეთ ოჯახურ უსიამოვნებამდე მიყავს საქმე ზოგიერთი შეუგნებელი მასწავლებლის არასწორ პედაგოგიურ მიდგომის მოსწავლეების მიმართ. მე ვფიქრობ, დროა განათლების სამინისტრო ჩაუფიქრდეს ამ ამბავს და სათანადო დასკვნა გააკეთოს. რა გვჭირს ჩვენ, ღმერთო კი მომკალი, საამისო!


საერთოდ, ასეთ პატარა კურიოზებს თუ არ ჩავთვლით, გიგილო დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სკოლაში, თითქმის ყველა პედსაბჭოზე ისწრებენ. რაც მთავარია, ისეა გაშინაურებული პედაგოგონალთან, რომ ჩვეულებრივი „პატივცემულო მასწავლებლო“-ს ნაცვლად, მოფერებითი შინაურული სახელებით მიმართავენ. მაგალითად, ქართულის მასწავლებელს — „სიმაფორას“, რუსულის მასწავლებელს — „ნი ტაკლის“, ზოოლოგიის მასწავლებელს — „სკარპიონას“, ხოლო ფიზიკის მასწავლებელს „პალანას“ ეძახის. თქვენ წარმოიდგინეთ, ქუჩაშიც კი.

ვინ ვინ და, ჩემი გიგილო ცხოვრებაში არ დაიკარგება, ისწავლის და კაცი გამოვა-მიხარია, ნამდვილად მიხარია, ბოლოს და ბოლოს:

„ის ურჩევნია დედასა, შეილი რომ სჯობდეს მამასა“.

ჯანაი ღუმასა

ნახ. ა. ლილეუხი



გარეთ და



შიგნით

სიბაკნა-სიბაკთოსა

კალა მათობისა

იყო ერთი გამგე მალაზისა. ოცდაათი მსახური ჰყავდა. რა მოიწია დრო რევიზიისა, მოუწოდა მსახურთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი შეკვრა მატერიისა და დიდი ტომარი. ყველა ჩადო ტომარში. მოზიდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მერმე თითო-თითოდ აღვილად ასწია.

უთხრა მსახურთა თვისთა:—თუცა ერთად ვართ და ერთსა პირსა ვდგევართ, მტერი ეგრე ვერ აგვწევს. თუ არა, თითო-თითოდ ისე აგვწევენ, ზეცა ტფილისისა მოგვენატროს.

სახლის მათობისა

ორნი ძმანი ვერ ეტეოდეს სახლსა შიგან, — წვრილშვილი იყვნენ. თქვეს სახლი აფაშენოთო.

— როგორ?—იკითხა უმცროსმა.
— შენ ხე-ტყე მოზიდე, მე აგურს მოვიტან და აშენდებო.

დაიწყეს. უბნის ინსპექტორს ხმა ესმა, მოვიდა:

— მანდ რასა იქმო?
ძმებმა უთხრეს:— სახლს ვაშენებთო.
— ვინ მოგცათ უფლებათა! — განრისხდა ინსპექტორი და მოითხოვა ის, რასაცა ბოროტი ენანი ქრთამს უხმობენ. ძმებმა გვემეს და განაგდეს.

წავიდა ნაწყენი და ქუჩიდან ვადმოსძახა:
— მე ხომ ჩემი ქუჩისა დამემართა და თუ თქვენ მაგ საქმით სახლი ააშენოთ, თქვენც შეიტყობითა!

მშობელი და სამი შინი კაცი

იყო მშობელი და ერთი თავისუფალი ადგილი ტრესტსა შინა. მაგრამ სამი კაცი ჰქონდა მოწყობასა. თქვა მშობელმან:

— გამოვცდი, რომელს აქვს მეტი კუჭა? — და ჰკითხა სამთავეს:
— რა უფრო სწორია, რა უფრო ლამაზია და რა უფრო სწრაფია?
ერთმა უთხრა:— კრიტიკა არს ყველაზე სწორი, ქეშმარიტება— ყველაზე ლამაზი და თვალი ადამიანისა ყველაზე სწრაფიო.

მეორემ თქვა:— ჩემი სიტყვა ყველაზე სწორი, თქვენი მდივანია ყველაზე ლამაზი და ტელეფონია ყველაზე უსწრაფესიო.
მესამემ უთხრა:— თქვენი სიტყვა ყველაზე სწორი, ჩემი ცოლია ყველაზე ლამაზი და თქვენი მანქანა ყველაზე უსწრაფესიო. მმართველმა მესამე მიიღო.

ოთხი სკაჩილი

რეზომ ზამთარი ბაკურიანში გაატარა. თხილამურები, თოვლი მუხლამდე, ქალიშვილები—ყვლამდე.

რომ ჩამოვიდა, მამას სამსახურში დაურეკა:

— უჰ, მამი, რა კარგია ზამთარი, ნეტავ სულ ზამთარი იყოს!

— შენი სურვილი შენი უბის წიგნაკში ჩაწერე, — უბასუხა მამამ.

რეზომ ჩაწერა.

დადგა გაზაფხული. რეზომ მამის მანქანით მთელი საქართველო შემოიარა და ბევრ ხეს თუ ტაძარს დაუტოვა ისარგავრილი გული წარწერით. ოდნავ დაღწილი მანქანა გარაუში დააყენა და მამას დაურეკა:
— რი მშვენიერია ეს გაზაფხული! ნეტავი სულ გაზაფხული იყოს!

მამის თხოვნით რეზომ ეს სურვილიც უბის წიგნაკში ჩაიწერა.

მოვიდა ზაფხული.

რეზომ საბუთები სხვა ინსტიტუტში შეიტანა და ახალი მანქანით გაგრაში წავიდა. ცურაობდა ქალებში, წყალშიც...

რომ დაბრუნდა მამას დაურეკა:

— უჰ, რამდენი ვისიამოვნე! რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ზაფხული ყოფილიყო! მამის თხოვნით რეზომ ეს სურვილიც თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა.

დადგა შემოდგომა. მამამ რეზოს აკადემიური შევებულება ააღებინა (მისაღებ გამოცდებზე ძალიან გაიტანჯა: კინლამ ნაცნობ პროფესორთან ვერ მოხვდა). ჯერ ბებიასთან წავიდა რთვლობას, მეგობრები წაიყვანა. ქვევრის თავზე ბევრი სვეს. მერე იმ მეგობრების ბებიებთან, ბიძებთან, ამხანაგების მშობლებთან, იმთა მეზობლებთან...


და ერთ დღეს რეზო მამას ურეკავს:

— მილიციაში ვარ. გამომძიებელი „ზემელზე“ ცხოვრობს, მოსკოვის ქუჩაზე, დღესვე მიდი!


მამამ რეზოს ეს სურვილი თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა.

რამდენი მათობისა

ნახ. დ. ერისთავისა




— სამოცდაჩვიდმეტი კილო სარძანდებით, ჩემო ბატონო.
— კი მაგრამ, ორას გრამს რატომ მაკლებთ?
— არ გრცხვენია აშხელა კაცს, ორას გრამზე მედავები!



თუმცა მისი სამუშაო ცხრა საათზე იწყება, მაგრამ ათზეც რომ მივიდეს, განა ცოდვა იქნება? აი დაჯდა მაგიდასთან და გაზეთი გაშალა; ერთი-ორი განცხადება ჩაიკითხა ჩქარ-ჩქარა... ნახა კინოთეატრებში ამ კვირაში რა მიდის, ნაცნობი ხომ არვინ მოკვდა, როგორია ამინდი. შემდეგ მიდის ტელეფონთან, ყურმილს ხელში აიღებს, ლაპარაკობს სალამომდე, ქვეყნის ანბებს გაიგებს. — როგორა ხარ, ჩემო ნუსა, მომიკითხე გოგილო. მე როგორ ვარ? ეჰ, რა მიშავს, ცოცხალი ვარ, ვბოგინობ. შენ რას შვრები, მომიყევი, რაა თქვენთან ახალი; ცოლის შერთვას არ აპირებს შენი კობტა მძახალი? ტელეფონში არ ითქმება? სხვა სიტყვებით მანიშნე... „საქმილობის“ დირექტორად მართლა პეტრე დანიშნეს? წელს კახეთში წავალ, ალბათ, არ მეწვევი მაჭრობას? მაცივარი ხომ არა აქვს თბილუნივერვაჭრობას? რაო? თურმე მიუღიათ ცეკავშირის ბაზაში? დღის თორმეტზე ხომ არ გინდა შევიაროთ ბაზარში? ... ჯერ არც კია შესვენება, დღის პირველი საათი, და დაღლილი ქალი მიდის ბაზრისაკენ ტაატით. სამსახურში ხუთ საათზე დაქანცული გამოჩნდა და საქმიან პოზით ისევ ტელეფონთან ჩამოჯდა.

სტიქანი აკდუნელი



ბავშვებისათვის

ნახ. გ. ფირცხალავაძე

შეხედავთ ამ დამბალი ნაფოტებისაგან შეკოწიწებულ ხუხულას, იფიქრებთ: თუ საქათმეა, საქათმეს შუა დაბაში რა უნდა, თუ სალორეა — ვინ აკადრა-ლორებს ასეთი ფარლალა თავშესაფარიო?

მაგრამ თქვენ ორივე შემთხვევაში შესცდებით. ყვარელში საქათმეებიც და სალორეებიც თავის „არქიტექტურულ სიმაღლეზე“ დგანან, ხოლო აი, ეს ყოფილი შენობა კი...

მოითმინეთ, აბა, დააკვირდით მის ჩამოხუნებულ აბრას და ამოიკითხეთ რა შენობაა იგი:

„დ. ყვარლის პოლიკლინიკის ტუბდისპანსერი“.

გამძლეობა ნუ მოაკლოს განგებამ. რა ვუყოთ, რომ დამბალ-დანგრეულია? მას მაინც სული კბილით უჭირავს და „ემსახურება“ ავადმყოფებს; წვიმის დროს შხაპებს არ აკლებს მათ, ქარის დროს — ქარაშოტი ზუზუნებს ოთახებში, ფანჯრის ჩარჩოები გამომპალია და შიგ მინები არა აქვს, რა არის — დისპანსერში სუფთა ჰაერი ტრიალებდესო, კიბე დანგრეულია და ზედ ამსვლელ ავადმყოფებს ოთურმა და სხვა სახის ფიზიკური ვარჯიშობა თავისუფლად შეუძლიათ!

თქვენ გინდათ იკითხოთ როგორ უცქერიან ამ ქობს ყვარლის რაიჯანგანი, პროფკავშირი და სხვანი და სხვანიო?

ჩვეულებრივი, აკადემიური სიმშვიდით! ეგეც უნდა ითქვას, ზოგჯერ იცინიან კიდევ — შეხე, რა სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი ტუბდისპანსერი, აქ რა მკურნალობა შეიძლებაო!

ოღონდაც, სასაცილოდ თუ გამოდგება ეს ჩვენი ტუბხუხულა, თორემ აბა, მასში მართლაც რა მკურნალობა შეიძლება!

ვატასუკელი



ნახ. ვ. ლოლუაძე

— მიხედო, კაცო, ჯიბეში ხელს ვიყოფს!
— თავი დაანებე, თუ ქმა ხარ, იქნება მჭმველოს და გამეცეს ცოლი!

ბრძოლის
გინებისთვის



ფული შეგაქვს—ვაია, გამოგაქვს და ვიზია, მიმღებხაც და წამღებხაც თან მიპყვება შიშია.—

რომ გახდება განმცდელი აქ დახატულ სურათის, რაც გადახდა მხატვარ ღონს და აღბეჭდა სრულად ის.

ლეთისმოყვარე რკინიგზელები

იმ მშვიდობიან სპეციალობას, რომელსაც მატარებლის გადამბმელი და შემდგენელი ეწოდება, ერთი რიხიანი სასტვენისა და მოკლე მიხაკისფერი დროშის გარდა არაფერი არა ჰქირდება, მემანქანის სმენის ორგანოს სასტვენი ამახვილებს, დროშა კი—ზხედველობისას. ტატანაშვილ ქიტესასაც და ჯოხაძე დავითსაც ბედმა თუ გამოცდილებამ სწორედ ეს სპეციალობა უფერქაშა; ქიტესა რომ თბილისის სადგურში ვაგონების გადამბმელად მუშაობდა, დავითს მატარებლის შემდგენლის საპატიო მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. რკინიგზის სადგურში ამაგს და მუყაითობას თესავდა.

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ამ ამაგდარ რკინიგზელებს მარცხენა ხელში რომ კარგად გაწმენდილი სასტვენი ეჭირათ, მარჯვენა ხელში საგულდაგულოდ მკვრივად დაწნული კალათები ჰქონდათ ამოჩრილი და ყოველ ცისმარე დღეს სიმძიმისაგან მშვილდით მოხრილებს კრუსუნი და ვაი-ვიზი გაჰქონდათ.

— ქრისტე აღსდგა, არა, დღეს, ქიტეს?!
— ჰეშმარიტად რომ აღსდგა!
— რამდენი კვერცხით აღსდგა?
— ოთხასამდე ისურვა ჯერჯერობით იმ დალოცვილმა,
— ჩაულაპარაკებდა ქიტესაც და ერთ მადლიან ამოხვნეშას ხელის მონაცვლებასაც მიაყოლებდა ხოლმე და თანაც ისეთი სიფრთხილითა და ციმციმით გადაიტანდა კალათას ერთი ხელიდან მეორეში, თითქოს კალათა კი არა, ახალგამოჩეკილი წიწილები ჰყოლოდა ილღიაში შებუღებულნი.

ვის რა სასაყვედურო ჰქონდა ამ ღვთისნიერ რკინიგზელებთან. ყოველ სადგურში ერთმანეთს ქრისტელმერთის ჰეშმარიტებას უმტკიცებდნენ და აბა ვის წამოსცდებოდა მათზე აუგი; მაგრამ მათ გვერდით მომუშავე რკინიგზელებს მაინც უკვირდათ და განა არ გაუკვირდებოდათ, რომ ზაფხული იყო თუ ზამთარი, გაზაფხული იყო თუ შემოდგომა, ორივენი თითქმის ყოველდღე „ქრისტე აღსდგას“ გაიძახოდნენ და ვინ აღარ იცის, რომ აღდგომა წელიწადში ერთხელ იდღესასწაულება. არცთუ მაინცდამაინც მეზობლები იყვნენ გულდაარხინებულები ქიტესასა და დავითის ღვთისმორწმუნებაზე, ყოველ შეხვედრაზე დიასახლისებს პირზე სიბრტყე ხელი ჰქონდათ მიფარებული და სუნთქვაშეუბრუნებლად კამათობდნენ:


— აღამიანო, როდისმე, ქიტესასა და დავითის სახლიდან ქათმის კაკანი თუ გაგიგია?..
— არა, ქაა! მაგათ ეზოში ქათამს რა უნდა!..
— აბა მაშ ამოდენა კვერცხებს რომ ჰყიდიან, ღმერთი უგზავნიო?
— უი... ღმერთი გაუწყრეთ მაგათ, რის ქათამი, რა ინდაური... რკინიგზაში მუშაობენ, სხვადასხვა სადგურებში იაფად კვერცხებსა ყიდულობენ, აქ ჩამოაქვთ და ბაზარში ერთიორადა ყიდიან... არ დაგინახია, კვერცხებით სავსე კალათებს რომ მოაცუნცულებენ ხოლმე..
ვიღაცას უთქვამს და მართლაც რომ შურიანია მეზობლის თვალი, თორემ ვინ რკინიგზელები და ვინ სპეკულაცია!

8. ბინძავალი

3. ნინიძის საიუზილო სიყვავა

4 თებერვალს რუსთაველის სახელობის თეატრში ზეიმით ჩატარდა საქ. სახალხო არტისტის ვიქტორ ნინიძის სასცენო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

მიგობრული შარვი ღონისა



მსახიობ-რეჟისორების
გზა განვლეთ ერთობ გრძელია,
შემოქმედებით ვიწვოდი
ორმოცდაათი წელია,
მაგრამ ახლა რომ ცეცხლი მწვამს,
მისი გამხელაც ძნელია:
„სანკულტთეატრის“ დირექტორს,
რაც შემხვდა, აქ თქმად ღირს ესა,
ძველი თეატრი ათხარეს,
ახალი—არ მალირსესა,
სურამის ციხის ამბავი
მთლად ჩემზე დაამტკიცესა.
წელი-წელს გაჰყვა, შენობა
ძლივს ბალავერთან მივიდა,
საშენ მასალას ხავსი სჭამს,
ტემპები მოაქვთ ტივითა,
ჰე, ჩამაყოლეთ ბარემ მეც
კედელში ზურაბივითა!



უხსოვარი იუმორი

მნიშვნელოვანი შესწორება

მასწავლებელი — ჯიმ, რატომ არ იბან დილით ხელ-პირს?
აი, ტუჩებზე გემჩნევა, თუ რა გიქამია ამ დილით.
მოსწავლე — მაინც რა?
მასწავლებელი — რა და კვერცხები.
მოსწავლე — არა, მასწავლებელო, ეს გუშინ იყო.

უბრალო საბუთი

ერთმა მოგზაურმა შენიშნა ღრმად მოხუცებული ქალი, რომელიც ქოხის კართან იჯდა და თვლემდა. მოგზაური იქვე მოთამაშე ექვსიოდე წლის ბიჭუნას შეეკითხა, რამდენი წლის არის ეს დედაბერიო.

— მართალი ვითხრათ, არ ვიცი, რამდენი წლისაა, — თავაზიანად მიუგო ბიჭმა, — ისე კი დიდი ხნისა უნდა იყოს, რადგან, რაც თავი მახსოვს, სულ აქ არის.

სამსახურით შესაქმნილი

მოსამართლეს დაკითხვაზე ჰყავდა ერთი კაცი.
— დაქორწინებული ხართ?
— დიახ, სერ, ერთხელ.
— ვისზე დაქორწინდით?
— როგორ თუ ვისზე? ქალზე, სერ.
— რა თქმა უნდა; რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მოსამართლე, — განა გაგიგონიათ, რომ ვინმე მამაკაცზე დაქორწინებულიყოს!
— როგორ არა, სერ, სწორედ ასე მოიქცა... ჩემი და.

თარგმანი 3. დოლიძისა



უბეჭდო ხუმრობა თ. ბოჭორიშვილისა

რედაქტორი—ელგუჯა მადრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი,
ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49
3-76-69

გამომც. № 3, ხელმოწ. დასაბ. 13/11-1957 წ. ქალ. ზომა 70 X 108 1/8, 0, 5 ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ხან. ჯ. კიკვიძე